გლიცოგელი (Glicogel)

(მწარმოებელი ორგანიზაცია: შპს „ბიოტკსი“ საქართველო)

I. ზოგადი ცნობები

გლიცოგელი (Glicogel) - ანტისეპტიკური საშუალება, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ცურის ყოველდღიური მოვლისთვის.

შემადგენლობა: გლიცერინი, სოჭის ეთერზეთი, ქაფური, მენთოლი, მეთილენის ლურჯი, ეთანოლის სპირტი, პროპილენგლიკოლი, ჰეცი, ლიმონმჟავა, გამოხდილი წყალი

გამოშვების ფორმა: 1 ლ პოლიეთილენის ფლაკონებში

შენახვის წესი: ინახება მშრალ ბნელ ადგილას არაუმეტეს 20°C ტემპერატურაზე. ვარგისობის ვადა: 2 წელი

II. ბიოლოგიური თვისებები

გლიცოგელი (Glicogel) ცურის ყოველდღიური მომვლის საშუალებაა, მის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები უზრუნველყოფენ კანის დამატენიანებელ, დამარბილებელ, ანტისეპტიკურ მოქმედებას.

- გლიცერინი - იწვევს კანის დატენიანებასა და დარბილებას;
- მეთილენის ლურჯი - ავლენს ანტიბაქტერიულ და სოკოს საწინააღმდეგო მოქმედებას;
- სოჭის ეთერზეთი - გამოხატული აქვს ანტისეპტიკური მოქმედება, აქრობს შეშუპებებსა და ანთებებს, ახდენს კანის რეგენერაციას;
- ქაფური - ანთების საწინააღმდეგო, სადეზინფექციო საშუალება, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.
- მენთოლი - ანთების საწინააღმდეგო თვისებებით, უზრუნველყოფს გაგრილების ხანგრძლივ ეფექტს.

III. გამოყენების ჩვენებები

გლიცოგელი გამოიყენება ცურის ყოველდღიური მოვლისათვის, ხელს უწყობს ცურის კანის რეგენერაციას მასტიტის წარმოქმნის გაზრდილი რისკის შემთხვევაში, კანის დატენიანებასა და სიგრილის შენარჩუნებას.

IV. გამოყენების წესი

გელის მცირე რაოდენობა წაუსვით ცურთითის გასუფთავებულ მშრალ კანზე, ყოველი გამოწველის შემდეგ შეაზილეთ წრიული მოძრაობებით და დატოვეთ სრულ შეწოვამდე.